ოქმი:**ო02. 3726223001**

თარიღი:**11/08/2026**

ოქმი №16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი,10 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქ. კვაჭანტირაძე, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, პ. კიღურაძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშილი

2. ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში ცნობილი ფოკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვოკალურ ანსამბლ „რუსთავი“-ს დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით, ქანდაკების(ბიუსტის) განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ნატალია ხომერიკი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ჩავლეშვილმა, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, დაასახელა დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეულში განასხორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების

პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ნ. ხომერიკმა, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში ცნობილი ფოკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვოკალურ ანსამბლ „რუსთავი“-ს დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით, ქანდაკების(ბიუსტის) განთავსების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მომართვა, პროექტი და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას ბიუსტის განთავსების თაობაზე, აღნიშნეს, რომ არსებული კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტაცია გადაეგზავნება საქართველოს კულტურის სამინისტროს და თანხმობის მოსვლის შემდეგ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დამტკიცდება სათანადო განკარგულების პროექტი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით, N2 საკითხზე-მომზადდეს და არსებული კანონმდებლობის თანახმად, სათანადო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს საქართველოს კულტურის სამინისტროს.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი